AVIACOPTER
ავიაკოპტერი

საქართველო, თბილისი 0158, აეროპორტის დასახლება კორპ. N130, ბ. N11
Residential suburb of airport BLDG 130 apartament 11, Tbilisi 0158, Georgia
geoaviacopter@gmail.com www.aviacopter.ge +995 599 16 23 88

№ 21/04 „21" „აპრილი" 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2021 წლის 22 მარტის #2729/01 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შპს ,,ავიაკოპტერმა", საკითხის დაზუსტებისა და შესაბამისი დახმარების გაწევის მიზნით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, საიდანაც ველოდებით შესაბამის რეაგირებას.

რაც შეეხება, წყალდაცვითი ზოლის საკითხს, როგორც თქვენი წერილიდანაც ჩანს, „წყალდაცვითი ზოლის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდ. მტკვრის წყალდაცვითი ზოლი შეადგენს 50 მეტრს. ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შპს ,,ავიაკოპტერის" მიერ დაგეგმილი საქმიანობა, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას არათუ წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში, არამედ საერთოდ არ ითვალისწინებს. უფრო ზუსტად კი, პროექტით გათვალისწინებული ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი ასაფრენი მოედანი და მასთან მისასვლელი გზა, რომელიც წარმოდგენილია შეიპ ფაილით და რომელიც ხვდება წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში, არ ითვალისწინებს რაიმე ტიპის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, მათ შორის არ არის დაგეგმილი, მათთვის განკუთვნილი ტერიტორიის მობეტონება/მოასფალტება. ტერიტორია წარმოდგენილი იქნება ბუნებრივი მწვანე საფარით. ხოლო რაც შეეხება შენობა-ნაგებობებს, როგორც სკოპინგის ანგარიშშია აღნიშნული, გათვალისწინებულია მსუბუქი, მზა კონსტრუქციის შენობების მოწყობა, რომელიც სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას არ საჭიროებს და ამასთან, მდ. მტკვრიდან დაშორებული იქნება 50 მეტრზე მეტი მანძილით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის აპარატი
№ 7191
"22" 04 2021
2 ფ.
+ 03 +

AVIACOPTER
ავიაკოპტერი

საქართველო, თბილისი 0158, აეროპორტის დასახლება კორპ. N130, ბ. N
Residential suburb of airport BLDG 130 apartament 11, Tbilisi 0158, Georgia
geoaviacopter@gmail.com www.aviacopter.ge +995 599 16 23 88

№ _____ „ ____“ „ _____“ 20 წ.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ უზრუნველყოთ შპს „ავიაკოპტერის“ მიერ ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ტაძრის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი საფრენი მოედნის მოწყობის პროექტთან დაკავშირებული სკოპინგის პროცედურის დასრულება.
აქვე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზშ ანგარიშში.

დანართი - სკოპინგის ანგარიში

პატივისცემით,

ანა ტივაძე
დირექტორი

საქართველო. შპს "ავიაკოპტერი"
AVIACOPTER
406252576
GEORGIA. "AVIACOPTER" LLC